N 4 2020

მასწავლებელი

მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების
ეროვნული
ცენტრი

ISSN 1987-6149

ძვირფასო მასწავლებლებო!

ჟურნალი „მასწავლებელი“ და ინტერნეტგაზეთი „Mastsavlebeli.ge“ წარმოგიდგენთ

მასწავლებლის წიგნს:
„მე – მასწავლებელი“

ძვირფასო მასწავლებლებო!

ჟურნალი „მასწავლებელი“ და ინტერნეტგაზეთი „Mastsavlebeli.ge“ წარმოგიდგენთ

მასწავლებლის წიგნს:
„საკლასო ოთახი“

მე-19 საუკუნე გამოგონებათა ეპოქა იყო. და ამ ასწლეულის ერთ-ერთი გამოჩენილი ფიგურა გახლდათ სემუელ ფინლი ბრიზ მორზე (1791-1872), ამერიკელი გამომგონებელი, რომელმაც შექმნა ტელეგრაფის სისტემა. ეს მოწყობილობა უზრუნველყოფდა თითქმის მყისიერ კავშირს უზარმაზარ მანძილზე, მაგრამ ყველაზე მეტად სემუელს სახელი გაუთქვა კავშირის საერთაშორისო კოდური სისტემის გამოგონებამ, რომელიც მორზეს ანბანის სახელითაა ცნობილი.

სანამ მსოფლიოში კავშირის მეთოდს შეცვლიდა, მორზე იყო ცნობილი მხატვარი, რომელმაც განათლება მიიღო სამეფო სამხატვრო აკადემიაში. ის გამოჩენილი ამერიკელების პორტრეტებს ხატავდა თავის სტუდიაში – ბოსტონში. ერთხელ, როდესაც მარკიზ დე ლაფაიეტის პორტრეტს ხატავდა ვაშინგტონში, აცნობეს, რომ მისი ცოლი ძალიან ავად იყო. სემუელი სასწრაფოდ გაემურა შინ – კონეკტიკუტის შტატის ქალაქ ნიუ-ჰეივენში, მაგრამ ცოლს ცოცხალს ვერ მიუსწრო. სწორედ მაშინ გადაწყვიტა, რადაც უნდა დასჯდომოდა, შეექმნა ისეთი სისტემა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნებოდა ახალი ამბების სწრაფად გადაცემა.

WWW.TPDC.GE